

# „გოთიკური“ ჟანრის ტრანსფორმაცია ედგარ ალან პოს შემოქმედებაში

მაია ყანჩელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

*უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია)  
და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(მიმართულება: ანგლისტიკა)*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## სარჩევი:

აბსტრაქტი.....	1-2
შესავალი.....	3-5
„გოთური“ ჟანრის წარმოშობა და განვითარება .....	6-7
ამერიკული „გოთიკის“ ჩამოყალიბება: განსხვავება ტრადიციულ „გოთურ“ ჟანრსა და ამერიკულ „გოთიკას“ შორის ედგარ ალან პოს („ყორანი“) მიხედვით.....	7-15
სემუელ ტეილორ კოლრიჯის გავლენა ედგარ ალან პოს შემოქმედებაზე.....	15-20
ედგარ ალან პოს შემოქმედება - „ნოვატორული“ ლექსიკა .....	20-22
სოციალური ელფერი და სამხრეთის პრობლემატიკა ამერიკულ „გოთიკაში“ - პო როგორც რეგიონალური (სამხრეთელი) მწერალი .....	22- 23
ედგარ ალან პოს კრიტიკა და მისი შემოქმედების გავლენა ევროპულ ლიტერატურაზე .....	24-29
დასკვნა .....	30-31
გამოყენებული ლიტერატურა .....	32-34

## აბსტრაქტი

შეუძლებელია თანამედროვე სამყარო წარმოვიდგინოთ „გოთური“ ჟანრის გარეშე, რადგან „გოთურმა“ სტილმა დროთა განმავლობაში უდიდესი გავლენა იქონია ადამიანის ინტერესის თითქმის ყველა სფეროზე: არქიტექტურაზე, მუსიკაზე, კინოზე, ცხოვრების სტილსა და რაღა თქმა უნდა, ლიტერატურაზე.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია, გვეჩვენებინა როგორ ყალიბდებოდა ტრადიციული „გოთური“ ჟანრი ლიტერატურაში, როგორ განვითარდა და ამავე დროს როგორი ტრანსფორმაცია განიცადა თავად ჟანრმა ამერიკელი მწერლის ედგარ ალან პოს შემოქმედებაში. ნაშრომში წარმოდგენილია ამონარიდები ედგარ ალან პოს არაერთი ნოველიდან და პოემიდან, რომელიც ცალსახად მიგვანიშნებს როგორი გავლენა იქონია მასზე ტრადიციულმა ინგლისურმა „გოთურმა“ ჟანრმა და ამ ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელმა სემუელ ტეილორ კოლრიჯმა თავისი შემოქმედებით. კვლევის პროცესში შევეცადეთ გვეჩვენებინა რა შედეგი მოჰყვა ევროპული „გოთური“ პროზისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ხერხებისა და მოტივების პოსეულ ინდივიდუალურ მოდიფიკაციას და როგორ ახერხებს ედგარ ალან პო მხატვრულ სამყაროში „პოსეული გოთიკის“ უაღრესად ორიგინალური სისტემის დამოუკიდებელი ფორმით ჩამოყალიბებას, რაც ტრადიციული „გოთური“ ჟანრის საზღვრებს სცილდება. ნაშრომის ძირითად ნაწილში ასევე განვიხილავთ ედგარ პოს ლექსიკას, რომელიც ორიგინალური სიტყვების „ნოვატორულ“ საცავსაც წარმოადგენს და ეტაპობრივად წარმოვიდგინოთ როგორი გავლენა იქონია მისმა შემოქმედებამ ზოგადად ევროპულ ლიტერატურაზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ედგარ ალან პომ ტრადიციული „გოთური“ ჟანრის ტრანსფორმაციის საფუძველზე ჩამოაყალიბა „ფსიქოლოგიური საშინელების“ ჟანრი, სადაც ადამიანის ფსიქიკის, სულიერების ბნელი მხარე ბევრად მნიშვნელოვანი ელემენტია ვიდრე მისტიკით სავსე „გოთურ“ ციხე-დარბაზებში მომხდარი ზებუნებრივი ძალების ჩარევით განპირობებული თავსდატეხილი უბედურება.

თუკი თავად პოს სიტყვებს მოვიშველიებთ „საშინელება ადამიანის სულიდან მოდის და არა - გერმანიიდან. \*

\*(Haining, Peter, *Terror: A History of Horror Illustrations from the Pulp Magazines*, A & W Visual Library, 1976)